

ნინოწმინდის მხარეთმცოდნეობისა მუზეუმი

1. მუზეუმს არ აქვს თავისი შენობა, განლაგებულია კულტურის ცენტრის შენობაში, სადაც არ არის ელემენტარული პირობები: გათბობა, შესაბამისი სადგომი ექსპოზიციური დარბაზისთვის.
2. ფაქტიურად მუზეუმის ექსპოზიციური დარბაზი განლაგებულია კულტურის ცენტრის მესამე სართულის დერეფანში, რაც ხელს უშლის ექსპონატების დაცულობას
3. მუზეუმს არ აქვს შესაბამისი ავეჯი, მოწყობილობა

მუზეუმის დირექტორი  ა.ტონერიან



*ნორთონდის*  
მთავარი ბიბლიოთეკის პრობლემები

1. მთავარ ბიბლიოთეკას არ აქვს თავისი შენობა, განლაგებულია კულტურის ცენტრის შენობაში.
2. ბიბლიოთეკის წიგნური ფონდი 20 წლის განმავლობაში არ განახლებულია სომხური ლიტერატურით
3. ბიბლიოთეკას არ აქვს ინტერნეტ კავშირი



მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორი

*V. Xaramf*  
- B

ც.ისპირიან

**წინიდან**  
სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულება

1. საჭიროა დაწესებულების კაპიტალური რემონტი. შენობის სახურავს უჭირს შენაცლება
2. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უძლურია. სკოლაში არ არის შესაბამისი ინვენტარი, მოწყობილობა, ახალი მუსიკალური ინსტრუმენტები.
3. სასურველია, რომ სკოლას ჰქონდეს ერთი ავტობუსი

სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულების დირექტორი

 ა.დარბინიან



ნინოწმინდის მუსიკალური სკოლის პრობლემები

1. მუსიკალური სკოლის მასწავლებლების ხელფასი დაბალია. ერთი მასწავლებლის ხელფასი საშუალოდ შეადგენს 250 ლარი (ერთი საათის ღირებულება 8–10 ლარი)
2. მუსიკალურ სკოლას არ აქვს როიალი. სკოლის ინსტრუმენტი ძველია და ცუდ მდგომარეობისაა
3. სასურველია, რომ სკოლას ჰქონდეს ერთი ავტობუსი

მუსიკალური სკოლის დირექტორი



*[Handwritten signature]*

ვ.ფუთულიან

ნინოწმინდის კულტურის ცენტრის პრობლემები

1. კულტურის ცენტრისა და 13 სასოფლო ფილიალის (კლუბების) შენობა რეესტრში რეგისტრირებული არ არის; როგორც მუნიციპალიტეტის საკუთრება
2. კულტურის სფეროს მუშაკთა ხელფასი დაბალია, საშუალოდ შეადგენს 120 ლარს
3. კულტურის ცენტრს არა ჰყავს ქართული ცეკვის ქორეოგრაფ-სპეციალისტი
4. ქორეოგრაფიულ ანსამბლებს არა აქვთ ცეკვის კოსტიუმები
5. სასოფლო კლუბებს არა აქვს შესაბამისი მოწყობილობა, აპარატურა, ინვენტარი

კულტურის ცენტრის დირექტორი  გ.კარსლიან



**ადიგენის მუნიციპალიტეტი**  
**კულტურის განვითარების სტრატეგიული გეგმა**  
**2015-2025**

**გეგმის შედგენის პროცესი მოიცავდა შემდეგი ტიპის სამუშაოებს:**

- ინფორმაციის მოძიება, ანალიზი;
- კულტურის სფეროში მოღვაწე ააიპ შეხვედრა და პრობლემების განსაზღვრა;
- კულტურის სფეროს განვითარებისთვის პრიორიტეტების განსაზღვრა;
- გეგმის მომზადება.

**ზოგადი მიმოხილვა**

ადიგენის მუნიციპალიტეტისთვის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარება ეს ძირითადი პრიორიტეტები გამოიკვეთა სამუშაო ჯგუფების მუშაობის დროს, იმისათვის რომ უკეთეს შედეგს მივაღწიოთ მომდევნო წლების განმავლობაში, კულტურის სამსახურმა და მის დაქვემდებარებაში მყოფმა (ააიპ-ებმა) დასახა გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა, ყველა იმ პრობლემების გათვალისწინებით რაც ამ ეტაპზე გვაქვს და ყველა ის საჭიროება რაც დასახული მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება

## კულტურა ძეგლთა დაცვა ტურიზმი

მაღალმთიანი რაიონისთვის როგორცაა ადიგენის მუნიციპალიტეტი ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებულია ამ სფეროს განვითარება, რადგან საუკუნეების განმავლობაში კონკრეტულად ამ კუთხეში დაიკარგა და დავიწყებამს მიეცა მესხური კულტურა, ხალხური რეწვა, ხეზე კვეთა და.ა.შ

### ჩვენი მიზანია

- მესხური ადგილობრივი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მოძიება და პოპულარიზაცია, აგრეთვე მატერიალური მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.
- ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის პოპულარიზაცია
- ისტორიული ძეგლები, მუზეუმები, ხელოვნების შემოქმედებითი დარგები, კულტურული მოვლენები, კუსტარული მრეწველობის ნაკეთობები, კულინარია, ხალხური ტრადიციული ფესტივალები

ამით ხელს შევუწყობთ კულტურული ტურიზმის განვითარებას და აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის თვითშეგნების ამაღლებას;

### ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე საუბრისას, საჭიროა განვიხილოთ შემდეგი საკითხები:

ადიგენი ტურისტული ობიექტების სიუხვითაა გამორჩეული, აქვეა აგებული ასტრო ფიზიკური ობსერვატორია. მთა ყანობილი, რომელზეც ობსერვატორიაა აგებული უნიკალური პირობებით ხასიათდება და ეკოლოგიურად სუფთა ადგილის ეტალონს წარმოადგენს...

იმისათვის რომ ხელი შეუწყოს ტურიზმის განვითარებას, მივაღწიოთ სასურველ

შედეგს ეს პოტენციალი სწორად უნდა იყოს გამოყენებული, კერძოდ:

- საოჯახო კაფეების მოწყობა;
- ღირსშესანიშნაობების რეკლამირება,
- საინფორმაციო მომსახურება ადგილზე;



- გასართობი კერების მოწყობა-ამოქმედება;
- ზამთრის სპორტის სახეობების ხელშეწყობა და.ა.შ

**კულტურა swot -ანალიზი**

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• გეოგრაფიული მდებარეობა</li> <li>• კულტურული ძეგლების სიუხვე</li> <li>• კულტურული ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი</li> <li>• მოსახლეობის სტუმართმოყვარეობა</li> <li>•</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მცირე ბიუჯეტი</li> <li>• გაუმართავი ტურისტული ინფრასტრუქტურა</li> <li>• სარეაბილიტაცია კულტურული ძეგლების უმეტესი ნაწილი</li> <li>• პროფესიული განათლების კერების არარსებობა</li> <li>• კინოთეატრების თანამედროვე გასართობი პროგრამებისა და კლუბების არარსებობა</li> <li>•</li> </ul>
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრების მოწყობა</li> <li>• არსებული ტურისტული მარშრუტების აღდგენა</li> <li>• სახელმწიფოს სტრატეგია ტურიზმის განვითარების შესახებ</li> <li>• ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის პოპულარიზაცია</li> <li>•</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ეკონომიკური მდგომარეობის არასტაბილურობა</li> <li>•</li> </ul>



## **აიპ ბიბლიოთეკა ადიგენის მთავარი ბიბლიოთეკა**

საზოგადოების კულტურული განვითარების აუცილებელი პირობაა ქვეყანაში განათლების მაღალი დონე და ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა.

ადიგენის მთავარი ბიბლიოთეკის განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია იმ მიზნით რომ ბიბლიოთეკამ შეძლოს განვითარება.

### **ძირითადი ამოცანები**

- ყველა ასაკის მკითხველის საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიული მომსახურება
- ბიბლიოთეკის მომხმარებელთა მოთხოვნების ინტერესებისა და პროფესიული მოთხოვნილებების შესწავლა
- საბიბლიოთეკო ფონდებისა და სხვა რესურსების სწორად და ეფექტურად გამოყენება
- კომპეტენციის ფარგლებში მუნიციპალიტეტში შემავალ მკითხველთა საბიბლიოთეკო მომსახურების კოორდინაცია
- თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან
- შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება დაცვა და პოპულარიზაცია.

### **მიზანი**

ჩვენი საგანმანათლებლო და საბიბლიოთეკო სივრცეში

ხელი შევუწყობთ ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებას.

ახლო მომავალში დაგეგმილია ახალი პროექტი -ბიბლიოთეკაში იხსნება შემოქმედებითი დარბაზი (Creative Hall ) სადაც გაიმართება ტრენინგები, პრეზენტაციები, ღონისძიებები, თემატური საღამოები.

სამომავლოდ მიზნად ვისახავთ ბიბლიოთეკა გადავიდეს ელექტრონულ კატალოგიზაციაზე.

### **ძირითადი პრობლემატიკა**

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

- ბიბლიოთეკის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- თანამშრომელთა დაბალი სახელფასო ანაზღაურება;

### **სავარაუდო შედეგი**

განვითარდება მკითხველის ინტელექტუალური პოტენციალი, მათი სოციალური, პიროვნული, გონებრივი შესაძლებლობები. ჩამოუყალიბებს დამოუკიდებელ, ლოგიკური აზროვნების უნარი.

### **ააიპ სამუსიკო სკოლა**

საზოგადოების კულტურული განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სამუსიკო სკოლის განვითარება.

ადიგენის სამუსიკო სკოლის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია იმ მიზნით რომ სამუსიკო სკოლამ შეძლოს განვითარება.

#### **ძირითადი ამოცანები**

- მატერიალურ- ტექნიკური რესურსების გაუმჯობესება;
- სამუსიკო სკოლის რესურსების სწორი და ეფექტური გამოყენება;
- პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- პედაგოგებისთვის საჭირო ტრენინგების ჩატარება;
- პედაგოგებისთვის და მოსწავლეებისთვის მოტივაციის ამაღლება;
- სკოლის ნორმალური ფუნქციონირებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;

#### **მიზანი**

სამუსიკო სკოლის სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის. განუვითაროს მოზარდს

## სამუზეუმო გეგმა განვითარების სფეროში

თავდაპირველად მოკლედ გვინდა ჩამოვყალიბოთ მუზეუმის არსი.

მუზეუმი არის დაწესებულება, რომელიც აგროვებს, ინახავს, იკვლევს და პოპულარიზაციას უწევს სამეცნიერო, ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობის მქონე ექსპონატებს. რომელიც ნათლად დაგვანახებს მუზეუმის სამომავლო სამუშაო გეგმასა და პრიორიტეტებს.

ამგვარად, მუზეუმის ძირითადი ფუნქციებია:

1. **კოლექციების შეგროვება** (საკუთარი არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ მოპოვებული მასალები; შესყიდვა კერძო პირებისაგან ან სხვა ორგანიზაციებისაგან; გაცვლა სხვა მუზეუმებთან; ანდერძით ან საჩუქრის სახით ექსპონატების მიღება)
2. **კოლექციების შენახვა და მოვლა** (ტენიანობისა და ტემპერატურის რეჟიმის უზრუნველყოფა; სწორი განათების უზრუნველყოფა; საცავში და საგამოფენო სივრცეებში სწორად განთავსება; კონსერვაცია და რესტავრაცია; მიმდინარე მოვლა; აღრიცხვა)
3. **კოლექციების სამეცნიერო კვლევა** (მუზეუმის მეცნიერთანამშრომლებისა და კურატორების მიერ კოლექციების კვლევა; კოლექციებით ან ცალკეული ექსპონატებით დაინტერესებული გარეშე მეცნიერების მიერ კვლევა), რომელიც ემსახურება არა მხოლოდ ზოგადად იმ სამეცნიერო საკითხებისა თუ მიმართულებების განვითარებას, რომელსაც ეხება კოლექციებში დაცული ექსპონატები, არამედ საკუთრივ ამ კოლექციების შესახებაც ამდიდრებს სამეცნიერო ინფორმაციას.
4. **კოლექციების საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა** და მუზეუმის თემატიკის შესაბამისად ინფორმაციის მიწოდება (ეს პუნქტი, ცხადია, მხოლოდ ძალიან ზოგადად ასახავს მუზეუმის საქმიანობას ამ მიმართულებით). პრაქტიკულად, ეს ნიშნავს მუზეუმში დაცული მემკვიდრეობის საზოგადოებისათვის აქტუალურ ქცევას და მის სასარგებლოდ გამოყენებას, ისე, რომ ამან ზიანი არ მიაყენოს კოლექციებს.

ჩამოთვლილიდან პირველი სამი პუნქტი პრაქტიკულად უცვლელია და ასეთად დარჩება, ვიდრე იარსებებს მუზეუმები. მეოთხე პუნქტი არის ის, რამაც საგრძნობი ცვლილება განიცადა უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში. საკითხი ეხება მუზეუმისა და საზოგადოების ურთიერთობას, მათ ურთიერთდამოკიდებულებას და შესაბამისად მუზეუმის ადგილს და როლს საზოგადოების ცხოვრებაში, მის განვითარებაში.

მუზეუმისა და საზოგადოების ურთიერთობა, საზოგადოების ცხოვრებასა და მის განვითარებაში მუზეუმის ადგილისა და როლის საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია და გადამწყვეტიც კი. ამა თუ იმ ტიპის ურთიერთობა მიგვანიშნებს არა მხოლოდ თავად მუზეუმის განვითარების „სტადიას“, არამედ კიდევ უფრო მეტად – საზოგადოების შესახებ გვიქმნის წარმოდგენას.

ჩვენი მიზანია სამუზეუმო საქმიანობა მომავალში ჩვენი კვლევა – ძიების და მოღვაწეობის ერთ-ერთ სფეროდ ვაქციოთ, დავხვეწოთ და ჩამოვაყალიბოთ მესხეთის ისტორიულ – ტურისტული მნიშვნელობა. ვფიქრობთ, იგი მომავალში საფუძვლიან დახმარებას გაუწევს მესხეთის კულტურული მემკვიდრეობით და ამ კუთხის ტურისტული განვითარების მიზნით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს, თანამედროვე საერთაშორისო ტურიზმის განვითარების გაზრდილი მოთხოვნების ფონზე.

აქედან გამომდინარე ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გარკვეული ნაბიჯიც გადადგა კერძოდ ფუნქციონირება დაიწყო ა.(ა).ი.პ. - ასპინძის შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო მუზეუმმა, (რომელიც მოიაზრება მხარედმცოდნეობისა და ტურიზმის კვლევით ცენტრად), შემუშავებული გვაქვს განვითარების სამომავლო კონცეფცია.

ისტორიულ გეოგრაფიულად ასპინძის მუნიციპალიტეტი მოიცავს ნაწილობრივ სამცხისა და ქვემო ჯავახეთის ტერიტორიას და ამიტომაც ის განსაკუთრებული სიმდიდრით და ექსტრემალურად გამოხატავს რეგიონის სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ, კულტურულ, კომუნალურ და სხვა ძალაუფლებათა მთელ კომპლექსს.

ასპინძის მუნიციპალიტეტი მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით. ამ ტერიტორიაზე ქვის ხანიდან მოყოლებული დღემდე სხვადასხვა ხასიათის მრავალი არქეოლოგიური, არქიტექტურული და ეთნოგრაფიული ძეგლია დადასტურებული. აქ სხვადასხვა წლებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად შესწავლილია ადრე ბრინჯაოს ხანის ნაგებობები, შუა ბრინჯაოს პერიოდის ყორღანები, შუა საუკუნეების ნასახლარები და არქიტექტურული ნაგებობები. ზოგიერთი ძეგლი იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ მასზე საერთაშორისო ქართულ-ავსტრალიური არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობს. გათხრების შედეგად



გამოვლენილია კავკასიის მასშტაბით უნიკალური ქვის ნაგებობები, აკლდამა-სამარხები, ასეულობით თიხის ჭურჭელი, ძველ მეტალურგიასთან დაკავშირებული ნივთები, ჭობარეთის 5500 წლის წინანდელ ნასახლარზე ნაპოვნია ოთხი ჯიშის ხორბლის და სხვა მარცვლოვნების ნაშთები, წინა აზიიდან იმპორტირებული საბეჭდავი (რომელიც ჯერჯერობით ერთადერთი აღმოჩენაა საქართველოში) და სხვ. არანაკლებ მნიშვნელოვანი მასალაა აღმოჩენილი სხვა არქეოლოგიური გათხრების შედეგადაც. სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოპოვებული ნივთების დიდი ნაწილი ( ასპინძაში სამუზეუმო ფართის არარსებობის გამო) საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებშია გამოფენილი ან საცავებშია ჩაკეტილი. კერძოდ: ქ. ახალციხეში - (მუზეუმის ფონდი, რომლის ექსპონატები დღეისათვის ფონდსაცავის უქონლობის გამო დაცულია ახალციხის უნივერსიტეტის საწყობებში), აგრეთვე ქ. თბილისში საქართველოს ეროვნული მუზეუმის ჯანაშიას მუზეუმსა და არქეოლოგიური ცენტრის ფონდსაცავებში და ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ფონდსაცავში.

გვსურს, რომ თავი მოვუყაროთ და ფართო საზოგადოებას გავაცნოთ ის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, რომლებიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. შენობის არსებობის შემთხვევაში, გამოფენილი იქნება ეს უნიკალური ნივთები. წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს სხვადასხვა არქეოლოგიური კვლევები და მომავალ წლებში კიდევ უფრო მოიმატებს, სამწუხაროდ გაიზრდება ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უნიკალური ნივთების გადინება. ხოლო თუ ექნება მუზეუმს შესაბამისი ფართი ახალი აღმოჩენები გაამდიდრებს მის ექსპოზიციას.

შამუზეუმო, მხარედმცოდნეობისა და ტურისტული კვლევითი ცენტრის საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა მოიძებნოს შესაბამისი შენობა-ნაგებობა, სადაც სრულად განთავსდება მუზეუმი. რაც საშუალებას მისცემს მუზეუმს ზემოთ აღნიშნული საკითხის გადაჭრაში და თავისი მომავალი გეგმებისა და პრიორიტეტების განხორციელებაში.

ჩვენს მიერ დასახული გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის განხორციელება საშუალებას მოგვცემს ასპინძის შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო მუზეუმი, რომელიც ტრადიციულად ასოცირებული იყო ძველი კულტურული მემკვიდრეობის შენახვისა და შესწავლის ადგილთან, სინამდვილეში გაცილებით უფრო ფართო შესაძლებლობებს მოგვცემს ასპინძის წარსულის, აწმყოსა და მომავალზე გავლენის მოსახდენად.

ასპინძის მთავარ ბიბლიოთეკაში გვესაჭიროება კაპიტალური რემონტი თანამედროვე საბიბლიოთეკო დგამ ავეჯი თანამედროვე შემოქმედთა ლიტერატურა კომპიუტერები დარბაზის უკეთ მოწყობა ელექტრონული კატალოგის ჩატვირთვა

საბავშვო ბიბლიოთეკაში გვესაჭიროება კაპიტალური რემონტი თანამედროვე საბიბლიოთეკო დგამ ავეჯი თანამედროვე შემოქმედთა ლიტერატურა კომპიუტერები ელექტრონული კატალოგის ჩატვირთვა

სოფელ ტოლოშის ბიბლიოთეკას ესაჭიროება კაპიტალური რემონტი თანამედროვე საბიბლიოთეკო დგამ ავეჯი თანამედროვე შემოქმედთა ლიტერატურა კომპიუტერები ელექტრონული კატალოგის ჩატვირთვა

სოფელ ხიზაბავრის ბიბლიოთეკას ესაჭიროება კაპიტალური რემონტი თანამედროვე საბიბლიოთეკო დგამ ავეჯი თანამედროვე შემოქმედთა ლიტერატურა კომპიუტერები ელექტრონული კატალოგის ჩატვირთვა

სოფელ ოშოეის ბიბლიოთეკას ესაჭიროება კაპიტალური რემონტი თანამედროვე საბიბლიოთეკო დგამ ავეჯი თანამედროვე შემოქმედთა ლიტერატურა კომპიუტერები ელექტრონული კატალოგის ჩატვირთვა

2006 წლიდან ბიბლიოთეკების მომსახურების გარეშეა დარჩენილი შემდეგი სოფლები რომლებსაც ესაჭიროება აღდგენა ესენია: ძველი, აწყვიტა, ორგორა, ფია, იდუმალა, თოკი, ვარგავი, რომლის წიგნადი ფონდი და ინვენტარი გადმოტანილი და დაცულია მთავარ ბიბლიოთეკაში.

ასევე უმოქმედოდაა დარჩენილი სოფლად არსებული ბიბლიოთეკები რომელთაც ემუქრება განადგურება ეს სოფლებია: ნაქალაქევი, ნიჯგორი, თმოგვი, მირაშხანი, ხერთვისი, ოთა, სახუდაბელი, ივერია, და ჭობარეთი

აგრეთვე ბიბლიოთეკების გარეშეა დარჩენილი რუსთავის, დამალის და საროს სოფლები რომელთა წიგნადი ფონდი გადაცემულია საჯარო სკოლებს

ა(ა)იპ ასპინძის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „სამცხე“-ს მომავალი ათი წლის განმავლობაში პრიორიტეტული

## გ ე გ მ ე ბ ი

ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „სამცხე“ ჩამოყალიბდა 2008 წელს, რომელიც ამ წლების განმავლობაში აქტიურად მოღვაწეობს საქართველოს მაშტაბურ ღონისძიებებში და საკმაოდ ღირსეულად, სადაც არა ერთხელ მიიღო საპრიზო ადგილი, როგორცაა ლაურიატის წოდება, პირველი ხარისხის დიპლომი და საუკეთესო ანსამბლის წოდება,

მიუხედავად იმისა, რომ ანსამბლს დღემდე უწევს ქორეოგრაფიისათვის შეუფერებელ პირობებში მუშაობა (რეპეტიციის ჩატარება) რათა არ გვაქვს შესაფერისი ფართი (სარეპეტიციო დარბაზი), ვმუშაობთ კულტურის ცენტრის შენობაში სადაც არანაერი პირობა არ არსებობს ქორეოგრაფიისთვის, ასევე არ გაგვაჩნია საკონცერტო კოსტუმები ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, რომლის მოძიებაც გვიწევს სხვა და სხვა რაიონებში,

ძალიან რთულია ამ პირობებში მუშაობა, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობთ ანსამბლის ღირსება და რაიონის სახელი წარმოვაჩინოთ,

აღნიშნული ანსამბლი დღემდე პოპულარობით სარგებლობს, ეწევა ქართული ტრადიციული ცეკვის პროპაგანდას, ქართულ სულისკვეთებას გადასცემას მოსაწავლე ახალგაზრდებს,

მომავალში ვიგეგმებით უკვე არსებული, მაგრამ არც თუ ისე პოპულარული მესხური ცეკვის პოპულარიზაციას, ანსამბლი მუშაობს მესხურ ცეკვაზე და არის ჯერ კიდევ ძველი ხალხის შემორჩენილი (მესხური ცეკვის) მოძიებაში.

გვინდა ჩვენი რეგიონის ტრადიციული ხალხური მესხური, ცეკვის პოპულარიზაცია მოვახდინოთ, ჯერ საქართველოში და მერე საზღვრებს გარეთ.